საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 8 22 00805727

29/03/2022

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
უფროსის მოადგილეს (სანებართვო საკითხებში)
ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2022 წლის 25 მარტის N60-0122084843 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ლეო კვაჭაძის ქუჩა N 7“ა“-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.17.001.018) სპორტული დარბაზის შენობის რეკონსტრუქციის (მიშენება) არქიტექტურული და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების: სახანძრო სიგნალიზაციის, ევაკუაციის მართვის, ხანძრის ავტომატური ჩაქრობის, შიდა და გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების, ასევე ელექტრომომარაგების და გათბობა-ვენტილაციის პროექტები, რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2022 წლის 23 თებერვლის NMIA22200474819 წერილის საფუძველზე შეტანილი იქნა ცვლილება-დამატებები, შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

წერილის ნომერი: **18-01220523314**
თარიღი: **21/02/2022**
პინი: **8008**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01220491994
წერილის თარიღი:	18 თებერვალი, 2022
განმცხადებელი:	ქეთევან ქობულია
განაცხადის N	AR1853321
მისამართი	ქ.თბილისი, ლეო კვაჭაძის ქ. #7ა
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.14.17.001.018
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	სპორტული დარბაზი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტი №5608972 თარიღი: 23 სექტემბერი, 2021
ფართობ(ებ)ი:	15 000 კვ.მ
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	სპეციალური ზონა 1 - (სპეცზ-1)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა
დასკვნა: ინფორმაციული	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო

საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია

ვინაიდან იგეგმება არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია განმცხადებელს არ ეკისრება გამწვანების პროექტის წარმოდგენის ვალდებულება.

ხოლო, იმ შემთხვევაში თუ რეკონტრუქცია საჭიროებს დამატებით მწვანე-ნარგავების მოჭრა/ გადარგვას, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ტოპო.გეგმა საპროექტო შენობის განთავსების სქემით, მწვანე ნარგავების დატანით, 3 მეტრიანი მანძილების აღნიშვნით და მოსაჭრელი/გადასარგავი ნარგავების მითითებით.

ინფორმაციისთვის

გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 51-ე პუნქტი).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი